# აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

# გაზეთები, სამეცნიერო ჟურნალები, პერიოდიკა და ჟურნალები

ქ. ქუთაისი
2014

სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია ................................................................ 3
2. დანართი №1 რეკვიზიტები ................................................................ 5
3. დანართი №2 ფასების ცხრილი .................................. 6
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი ..........10

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტი: გაზეთები, სამეცნიერო ჟურნალები, პერიოდიკა და ჟურნალები

**CPV** კოდი 22200000

დაფინანსების წყარო: 2014 წლის სპეცსახსრები.

აუცილებელი პირობები:

ა)

- 2014 წლის 1 ივლისიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გამოცემული პერიოდიკის (დანართი 2-ის მიხედვით) მიწოდება
- ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 3 მარტამდე.
- მიწოდების ადგილი: ქ.ქუთაისის თამარ მეფის №59.
- შემოთავაზებული ფასი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, ასევე ტრანსპორტირების და სხვა ხარჯებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. სატენდერო წინადადების ფასი სისტემაში მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გარეშე.

ბ)

- პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაციები:
- ინფორმაცია პრეტედენტის რეკვიზიტების შესახებ (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიულ მისამართი, ტელეფონის/ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელ(ებ)ის სახელი და გვარი(დანართი №1).
- ფასების ცხრილი სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ფასების ცხრილის მიხედვით (დანართი №2).
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ

გ)

- სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის ა-გ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.
- ანგარიშსწორებისათვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს თანმხლები დოკუმენტაცია. ანგარიშსწორება მოხდება შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში;
- სატენდერო წინადადება ძალაშია მისი სისტემაში ატვირთვის დღიდან ტენდერისათვის„ხელშეკრულება დადებულია", „დასრულებულია უარყოფითი შედეგით" ან „ტენდერი შეწყვეტილია" სტატუსის (ერთ-ერთის) მინიჭებამდე.
- პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.
- მიწოდება განხორციელდება ტექნიკურ დავალებაში – აუცილებელი პირობების „ა-გ" პუნქტებით მოცემული პირობებით.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისგან

საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის
სამსახურის უფროსი კახა კუპატაძე ტ 577 131 550

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი ჭიჭინაძე
ტელ: 577 131 571; 593 468 435.

დანართი 1

1. რეკვიზიტები: პრედენდენტის
დასახელება: ხელმძღვანელის
სახელი და გვარი: პრეტენდენტის
მისამართი: საიდენტიფიკაციო
კოდი: პრეტენდენტის ტელეფონის
ნომერი: ელექტრონული მისამართი:
ბანკის დასახელება:
ბანკის კოდი:
ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი:
2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებულ
სატენდერო წინადადების ფასი:
3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა:

დანართი №2

# ფასების ცხრილი

| № | გამოცემის დასახელება | განზომილება | კომპლექტის რაოდენობა | 6 თვეში მისაწოდებელი ეგზემპლარების რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Georgian Mathematical Journal | ცალი | 1 | 2 | | |
| 2 | Georgian medical news | ცალი | 1 | 6 | | |
| 3 | Georgia Today | ცალი | 1 | 26 | | |
| 4 | Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics | ცალი | 1 | 2 | | |
| 5 | Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute | ცალი | 1 | 2 | | |
| 6 | National Geographic (ქართული) | ცალი | 1 | 6 | | |
| 7 | Автомобильная промышленность | ცალი | 1 | 6 | | |
| 8 | Археология, Этнография и  Антропология Евразии | ცალი | 1 | 12 | | |
| 9 | Бизнес и банки | ცალი | 1 | 18 | | |
| 10 | Бурда | ცალი | 1 | 6 | | |
| 11 | Бюллетень Московского общества испытателей природы. Отдел биологический | ცალი | 1 | 2 | | |
| 12 | В мире науки | ცალი | 1 | 6 | | |
| 13 | В мире растений | ცალი | 1 | 6 | | |
| 14 | Вестник компьютерных и информационных технологий | ცალი | 1 | 6 | | |
| 15 | Вестник машиностроения | ცალი | 1 | 6 | | |
| 16 | Вестник Московского университета. Серия 1. Математика. Механика | ცალი | 1 | 3 | | |
| 17 | Вестник Московского университета. Серия 5. География | ცალი | 1 | 3 | | |
| 18 | Вестник Московского университета. Серия 7. Философия | ცალი | 1 | 3 | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 19 | Вестник Московского университета. Серия 9. Филология | ცალი | 1 | 3 | | |
| 20 | Вязание для взрослых. Крючок | ცალი | 1 | 6 | | |
| 21 | Вязание для взрослых. Спицы | ცალი | 1 | 6 | | |
| 22 | ВИНОДЕЛИЕ И ВИНОГРАДАРСТВО | ცალი | 1 | 3 | | |
| 23 | Гигиена и санитария | ცალი | 1 | 3 | | |
| 24 | Защита и карантин растений | ცალი | 1 | 5 | | |
| 25 | Игромания + 2 ДВД | ცალი | 1 | 6 | | |
| 26 | Известия Российской академии наук. Серия математическая | ცალი | 1 | 3 | | |
| 27 | Индустрия моды | ცალი | 1 | 2 | | |
| 28 | Инженерная газета | ცალი | 1 | 16 | | |
| 29 | Иностранная литература | ცალი | 1 | 6 | | |
| 30 | Информатика и образование | ცალი | 1 | 6 | | |
| 31 | Квант | ცალი | 1 | 2 | | |
| 32 | Клиническая медицина | ცალი | 1 | 3 | | |
| 33 | Клиническая фармакология и терапия | ცალი | 1 | 2 | | |
| 34 | Кожевенно-обувная промышленность | ცალი | 1 | 3 | | |
| 35 | Кондитерское производство | ცალი | 1 | 3 | | |
| 36 | Ландшафтная архитектура. Дизайн | ცალი | 1 | 2 | | |
| 37 | Литературная газета | ცალი | 1 | 22 | | |
| 38 | Математический сборник | ცალი | 1 | 6 | | |
| 39 | Математические заметки | ცალი | 1 | 6 | | |
| 40 | Международная жизнь | ცალი | 1 | 6 | | |
| 41 | Международное публичное и частное право | ცალი | 1 | 3 | | |
| 42 | Мир библиографии | ცალი | 1 | 5 | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 43 | Мир компьютерной автоматизации | ცალი | 1 | 2 | | |
| 44 | Наука и жизнь | ცალი | 1 | 6 | | |
| 45 | Неорганические материалы | ცალი | 1 | 6 | | |
| 46 | Новости маркетинга | ცალი | 1 | 6 | | |
| 47 | Пиво и напитки | ცალი | 1 | 3 | | |
| 48 | Питание и общество | ცალი | 1 | 6 | | |
| 49 | Пищевые ингредиенты: сырье и добавки | ცალი | 1 | 1 | | |
| 50 | Радио | ცალი | 1 | 6 | | |
| 51 | Русский язик и литература в Азербайджане (Бакинский славянский университет) | ცალი | 1 | 2 | | |
| 52 | Современное право | ცალი | 1 | 6 | | |
| 53 | СТИН Станки Инструменты | ცალი | 1 | 6 | | |
| 54 | Строительная механика и расчет сооружений | ცალი | 1 | 3 | | |
| 55 | Судебно-медицинская экспертиза | ცალი | 1 | 3 | | |
| 56 | Текстильная промышленность | ცალი | 1 | 2 | | |
| 57 | Успехи математических наук | ცალი | 1 | 3 | | |
| 58 | Филологические науки | ცალი | 1 | 3 | | |
| 59 | Финансы | ცალი | 1 | 6 | | |
| 60 | Экономист | ცალი | 1 | 6 | | |
| 61 | Электросвязь | ცალი | 1 | 6 | | |
| 62 | Электроэнергетика | ცალი | 1 | 3 | | |
| 63 | ХРАНЕНИЕ И ПЕРЕРАБОТКА СЕЛЬХОЗСЫРЬЯ | ცალი | 1 | 6 | | |
| 64 | ადვოკატი მეოხი | ცალი | 1 | 6 | | |
| 65 | ალია | ცალი | 2 | 52 | | |
| 66 | ასავალ-დასავალი | ცალი | 2 | 52 | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 67 | აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები | ცალი | 2 | 12 | | |
| 68 | აგრარული საქართველო | ცალი | 1 | 6 | | |
| 69 | ახალი გაზეთი | ცალი | 2 | 52 | | |
| 70 | ახალი განათლება | ცალი | 2 | 44 | | |
| 71 | ახალი ვერსია | ცალი | 1 | 78 | | |
| 72 | ახალი თაობა | ცალი | 1 | 156 | | |
| 73 | ბანკები და ფინანსები | ცალი | 1 | 26 | | |
| 74 | ბუღალტრული აღრიცხვა | ცალი | 1 | 6 | | |
| 75 | გადასახადები | ცალი | 2 | 16 | | |
| 76 | გადასახადები და აღრიცხვა | ცალი | 2 | 24 | | |
| 77 | გაზეთი 24 საათი | ცალი | 2 | 312 | | |
| 78 | განთიადი | ცალი | 5 | 15 | | |
| 79 | ეკონომიკა | ცალი | 2 | 12 | | |
| 80 | თბილისელები | ცალი | 1 | 26 | | |
| 81 | თეატრი და ცხოვრება | ცალი | 1 | 3 | | |
| 82 | თვალსაზრისი | ცალი | 10 | 30 | | |
| 83 | იმერეთის მოამბე | ცალი | 3 | 18 | | |
| 84 | კვირის პალიტრა | ცალი | 3 | 78 | | |
| 85 | კვირის ქრონიკა | ცალი | 1 | 26 | | |
| 86 | ლელო | ცალი | 1 | 156 | | |
| 87 | ლიტერატურული გაზეთი | ცალი | 1 | 13 | | |
| 88 | ლიტერატურული პალიტრა | ცალი | 1 | 6 | | |
| 89 | ლიტერატურული საქართველო | ცალი | 1 | 26 | | |
| 90 | მექანიკის პრობლემები | ცალი | 4 | 4 | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 91 | მწვანეყვავილა | ცალი | 3 | 9 | | |
| 92 | მწერლის გაზეთი | ცალი | 1 | 12 | | |
| 93 | ოჯახის მკურნალი | ცალი | 2 | 26 | | |
| 94 | პოსტსკრიპტუმი / PS | ცალი | 2 | 52 | | |
| 95 | პრაიმ-ტაიმი | ცალი | 2 | 52 | | |
| 96 | რეზონანსი | ცალი | 1 | 180 | | |
| 97 | საპატრიარქოს უწყებანი | ცალი | 1 | 26 | | |
| 98 | სარკე | ცალი | 1 | 26 | | |
| 99 | საქართველოს ბიბლიოთეკა | ცალი | 1 | 2 | | |
| 100 | საქართველოს მეფუტკრეობა | ცალი | 1 | 2 | | |
| 101 | საქართველოს რესპუბლიკა | ცალი | 1 | 130 | | |
| 102 | ტაბულა | ცალი | 1 | 13 | | |
| 103 | უქიმერიონი | ცალი | 1 | 3 | | |
| 104 | ფორბსი (ქართულ ენაზე) | ცალი | 1 | 7 | | |
| 105 | ჩემი მამული | ცალი | 1 | 6 | | |
| 106 | ჩვენი მწერლობა | ცალი | 1 | 19 | | |
| 107 | ცისკარი | ცალი | 1 | 6 | | |

პრეტენდენტი: ----------------------------------------------------------------------

პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „ " 2014 წ.

<u>წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას,როგორცმისიგანუყოფელინაწილი.</u>

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ ----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

(შემდგომში „შემსყიდველი" (შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ --------------------------------------------------------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------------------------------შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს

შესყიდვა გამარტივებული ელექრონული ტენდერი

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს

------------------- ლარი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. შესასყიდი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს

4.3. საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე:

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ---------------------

განახორციელოს -----------------------------------------------------------------მიწოდება.

იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
5.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

## 6. საქონელის მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში

შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ----------------------

## 8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა

## 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
9.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 7 საბანკო დღის განმავლობაში:
9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## 10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების -- %-ს.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 13. სუბ-კონტრაქტორები

13.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების ----------% ოდენობით.

15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

## 18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს

(რიცხვი, თვე, წელი)

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია: მიმწოდებელი: